განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 11.11.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10.12.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0504 ბიოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ღაჭავა - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნუნუ მოცკევიჩი - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	იური მღებრიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო, ადგილობრივი შრომის და განათლების ბაზრის მზარდი მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით და მაღალი სამოქალაქო ღირებულებებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა ბიოლოგიის დარგებში, მის ძირითად მიმართულებებსა და დარგში არსებული კვლევების შესახებ. ასევე, ბიოლოგიის ბაკალავრის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარები.

პროგრამა მიზნად ისახავს, სტუდენტს მისცეს ცოდნა უჯრედებისა და ცოცხალი ორგანიზმების აგებულების, ცხოველქმედების თავისებურებების, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებების, ცოცხალ ორგანიზმთა წარმოშობის, განვითარების, მათში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების, მათი ფიზიოლოგიური მახასიათებლების, ძირითადი ფუნქციებისა და მექანიზმების შესახებ; შეასწავლოს ცოცხალი ბუნების მრავალფეროვნების ძირითადი პრინციპები და კონცეფციები, ცოცხალი ბუნების დაცვის ბიოეკოლოგიური საფუძვლები; ბიოლოგიის საბაზისო დარგებში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შერწყმის საფუძველზე, გამოუმუშაოს ცოცხალ ორგანიზმთან/გარემოში (ველზე) და ლაბორატორიული კვლევების აუცილებელი პრაქტიკული უნარ - ჩვევები; ჩამოუყალიბოს პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ფორმირებისა და დაცვის უნარი. გარდა ამისა, პროგრამის მიზანია, სტუდენტებს მიაწოდის ბიოლოგიისათვის აუცილებელი ზოგადი ცოდნა სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში; ჩამოუყალიბოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წარმატებული საქმიანი კომუნიკაციის დამყარების, ბიოლოგიის დარგისათვის დამახასიათებელი სტანდარტული მეთოდების მეშვეობით ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია და შემდეგი სახითაა განაწილებული:

- **სავალდებულო კომპონენტი - 170 კრედიტი**
  სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 160 კრედიტი
  სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი
- **საუნივერსიტეტო არჩევითი/თავისუფალი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი**
- **დამატებითი (minor) სპეციალობა - 60 კრედიტი**

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ხორციელდება 2011 წლიდან. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით №216, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ბიოლოგია“ მიენიჭა აკრედიტაცია ხუთი წლის ვადით. აკრედიტაციის შემდეგ, ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამამ განიცადა გარკვეული ცვლილებები და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა რეაკრედიტაციაზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 11 ნოემბერს (ბრძანება 30.10.2019, №1036).

ვიზიტის ფარგლებში შედგა დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან, კერძოდ, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს და პროგრამის ხელმძღანელებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. კერძოდ, **პირველი სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,** რადგან 1.1. კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 1.2 კომპონენტი კი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. **მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,** რადგან 2.1. და 2..4. კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2, 2.3 და 2.5. კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.6 კომპონენტი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. **მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,** რადგან 3.1. კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. **მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან,** რადგან 4.1 და 4.4. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 4.2. და 4.3. კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, **მეხუთე სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,** რადგან 5.1. კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 5.2. და 5.3. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- მოხდეს დამსაქმებლის აქტიური ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში და მათთან უკუკავშირის საფუძველზე რეგიონის საჭიროებების მიხედვით პროგრამაში ცვლილებების შეტანა.
- პროგრამის სტრუქტურაში ლოგიკურად დალაგდეს სასწავლო კურსები სემესტრების მიხედვით.
- დაემატოს I სემესტრში სასწავლო კურსი „ბიოლოგიის შესავალი“ და გადაიხედოს პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსების „კალკულუსი I“ და „კალკულუსი II“ 10 კრედიტის მოცულობით დატოვების საკითხი.
- სავალდებულო სასწავლო კურსი „წერითი და ზეპირი კომუნიკაცია“ შეიცვალოს სასწავლო კურსით „აკადემიური წერა“.
- სასწავლო კურსში „მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია“, „მცენარეთა ფიზიოლოგია“ საკონტაქტო საათები გადანაწილდეს, ლექცია, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მუშაობებზე.
- გადაიხედოს სასწავლო კურსების: „ზოგადი გენეტიკა“, „მოლეკულური ბიოლოგია“, „ბიოტექნოლოგია“, „საველე პრაქტიკა“ წინაპირობები.
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან „ბიოტექნოლოგია“ გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში.

- სილაბუსში სასწავლო კურსის შინაარსის ცხრილში ცალ-ცალკე მოხდეს ლექციისა და პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობების თემების მითითება, დაემატოს ლიტერატურის სვეტი და მიეთითოს ძირითადი ლიტერატურიდან თემების შესაბამისი გვერდები.
- სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიწეროს როგორ ხდება გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდებით სწავლის შედეგების (პრაქტიკული უნარების) შეფასება.
- გადაიხედოს სწავლება/სწავლის მეთოდები სილაბუსებში და ნაჩვენები იქნეს როგორ იზომება მათი გამოყენებით სწავლის შედეგები.
- მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლება/სწავლების იმ მეთოდებს, რომლებიც ანალიტიკური აზროვნების განვითარებას უზრუნველყოფს სტუდენტებში.
- შეფასების კომპონენტები და მეთოდები უნდა მოვიდეს სასწავლო კურსების სპეციფიკასთან შესაბამისობაში.
- სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში დეტალურად უნდა გაიწეროს პრაქტიკულ/ ლაბორატორიულ მუშაობებზე სტუდენტის აქტივობის ფორმები და მათი შეფასების კრიტერიუმები.
- გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის უსდ-ში უნდა გააგრძელდეს სწავლის შედეგებთან, სწავლება/სწავლის მეთოდებთან, შეფასების სისტემასთან (შეფასების ფორმები და კრიტერიუმები) დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება.
- უნდა განახლდეს, შეივსოს და გაუმჯობესდეს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.
- გაიზარდოს პარტნიორი ორგანიზაციების რესურსების გამოყენების შესაძლებლობა სასწავლო კურსების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების მონიტორინგი და აქტიურად ჩაერთოს პროგრამის გაუმჯობესების პროცესის დაგეგმვა/განხორციელებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო პრაქტიკებს და მიღწევებს ბიოლოგიის სფეროში.
- შემუშავდეს სამოქმედო გეგმა პროგრამის პოპულარიზაციისთვის არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბით.
- გაკეთდეს პროგრამისთვის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირის რუკა
- გაკეთდეს რუკა, რომელიც გვიჩვენებს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევაში ჩართულობის დანახვის საშუალებას იძლევა.
- დაემატოს პროგრამის სასწავლო გეგმას წინაპირობების სვეტი
- დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსები „ბიოეთიკა“, „განვითარების ბიოლოგია“, „ბიოფიზიკა“.
- სასწავლო კურსების „ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია“ და „ფილოსოფიის შესავალი“ სილაბუსების შინაარსში აქცენტი გაკეთდეს ბიოლოგიასთან კავშირზე.
- სასწავლო კურსების შინაარსში ლექცია/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობებზე განსახილველი თემების მოცულობა განისაზღვროს ყოველკვირეული საკონტაქტო საათების რაოდენობის მიხედვით.

- სასწავლო კურსებში მოხდეს თანამედროვე ხედვების გაზიარება, რომელიც დაფუძნებულია ახალ კვლევებზე.
- გადაიხედოს სილაბუსებში სწავლის შედეგები „დასკვნის გაკეთების უნარი“ და „კომუნიკაციის უნარი“ და სასწავლო კურსის სპეციფიკურობიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს.
- სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც გათვალისწინებულია საკურსო პროექტის შესრულება, მიეთითოს პროექტის გაფორმების წესი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)** – არ არის

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) –**

რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილმა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ „ბიოლოგია“ განიცადა მოდიფიცირება. პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მიერ, გაანალიზებულ იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე გათვალისწინებულ იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების დარგის წამყვანი პროფესორებისაგან შემდგარი მოწვეულ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები და რეკომენდაციები. დარგის სპეციფიკის და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

პროგრამიდან ამოღებულ იქნა შემდეგი სასწავლო კურსები:

- **არჩევითი სასწავლო კურსები**: ენზიმოლოგია; მცენარეთა დაცვა;
- **სავალდებული სასწავლო კურსი** - საველე პრაქტიკა II

პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები:

- **არჩევითი სასწავლო კურსები:** ცოცხალი ბუნების დაცვა; ბიოსოციოლოგია; სამკურნალო მცენარეები; ჰიდრობიოლოგია; ქცევის ბიოლოგია; ზოგადი ტოქსიკოლოგია; ტოლერანტობა და მრავალფეროვნება
- **სავალდებულო სასწავლო კურსი:** ორგანული ქიმია;

შეიცვალა სასწავლო კურსების დასახელება: ბოტანიკა I- მცენარეთა ანატომია და მორფოლოგია; ბოტანიკა II - მცენარეთა სისტემატიკა; ზოოლოგია I - უხერხემლოთა ზოოლოგია; ზოოლოგია II - ხერხემლიანთა ზოოლოგია; გენეტიკა - ზოგადი გენეტიკა; ეკოლოგია - ეკოლოგიის საფუძვლები; ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია I - კუნთოვანი და ნერვული სისტემების ფიზიოლოგია; ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია II - ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგია, ევოლუციური თეორიები - ბიოევოლუცია, ქიმია- ზოგადი და არაორგანული ქიმია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას. მისიიდან გამომდინარე უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს თავისი საქმიანობის მიმართულებები, კერძოდ, უსდ-ს მიზანია უზრუნველყოს ხელმისაწვდომი, მაღალი ხარისხის აკადემიური განათლება, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს; უზრუნველყოს უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების, სამეცნიერო კვლევის, შემოქმედებითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ხელშემწყობი, უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნა და განვითარება; ხელი შეუწყოს სტუდენტთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას და სხვა. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა უსდ-ს მისიიდან გამომდინარე განსაზღვრა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ მიზანი, ამიტომ პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო, ადგილობრივი შრომისა და განათლების ბაზრის მზარდი მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებითა და მაღალი სამოქალაქო ღირებულებებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა ბიოლოგიის დარგებში, მის ძირითად მიმართულებებსა და დარგში არსებული კვლევების შესახებ. ასევე, ბიოლოგიის ბაკალავრის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები. პროგრამა მიზნად ისახავს, სტუდენტს მისცეს ცოდნა უჯრედებისა და ცოცხალი ორგანიზმების აგებულების, ცხოველქმედების თავისებურებების, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებების, ცოცხალ ორგანიზმთა წარმოშობის, განვითარების, მათში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების, მათი ფიზიოლოგიური მახასიათებლების, ძირითადი ფუნქციებისა და მექანიზმების შესახებ; შეასწავლოს ბიოეკოლოგიური საფუძვლები, ძირითადი პრინციპები და კონცეფციები; ბიოლოგიის საბაზისო დარგებში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შერწყმის საფუძველზე, გამოუმუშაოს ცოცხალ ორგანიზმთან/გარემოში (ველზე) და ლაბორატორიული კვლევების აუცილებელი პრაქტიკული უნარ - ჩვევები; ჩამოუყალიბოს პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ფორმირებისა და დაცვის უნარი. გარდა ამისა, პროგრამის მიზანია, სტუდენტებს მიაწოდის ბიოლოგიისათვის აუცილებელი ზოგადი ცოდნა სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში;	

ჩამოუყალიბოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წარმატებული საქმიანი კომუნიკაციის დამყარების, ბიოლოგიის დარგისათვის დამახასიათებელი სტანდარტული მეთოდების მეშვეობით ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართული პირების მიერ გაანალიზებულ იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე გათვალისწინებულ იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების მოსაზრებები და რეკომენდაციები. დარგის სპეციფიკის და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგად პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდა უნივერსიტეტის მისიასთან და მიზნებთან. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ ინტერესი უფრო გაიზრდება, თუ მეტი ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო პრაქტიკებისა და მიღწევების გათვალისწინებას. ასევე მნიშვნელოვანია პროგრამის პოპულარიზაციისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ საჯარო სკოლებში ვიზიტებით, და დაინტერესებული პირებისთვის რეგიონის/ქვეყნის საჭირობებსა და დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული პროგრამის შეთავაზება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი • გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდი www.gu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო პრაქტიკებს და მიღწევებს ბიოლოგიის სფეროში. • შემუშავდეს სამოქმედო გეგმა პროგრამის პოპულარიზაციისთვის არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ უსდ-მ აკრედიტაციაზე წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 დეკემბრის 120/ნ ბრძანების „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგებს 6 კომპეტენციის მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასების პროცესს ახორციელებს პროგრამის შეფასების ჯგუფი, რომელიც შედგება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრისგან, პროგრამის ხელმძღვანელისგან, ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისგან, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების წარმომადგენლებისგან. შეფასების ჯგუფი და ფაკულტეტის დეკანი ამტკიცებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას. თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის უსდ იყენებს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისთვის გამოიყენება რამდენიმე შეფასების ინდიკატორი. პირდაპირი მეთოდით შეფასებისას ინდიკატორს წარმოადგენს შეწონილი შეფასების გამოყენება. პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდებით შეფასებისთვის უსდ იყენებს სტუდენტების, პერსონალის, პრაქტიკის პროცესში ჩართული პირების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვას, ინტერვიუს შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან და სხვა. შეფასების შედეგების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე, სწავლის შედეგების შეფასების შედეგების შედარებით სამიზნე ნიშნულებთან, განისაზღვრება სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედგის მიღწევის ხარისხი. შეფასების ციკლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს იმ გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის გაუმჯობესებას სასწავლო კურსისა და პროგრამის დონეზე. შეფასების შედეგები უნდა იყოს გაზიარებული ფაკულტეტის ფარგლებში.

შეფასების ანგარიში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების მექანიზმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს სათანადო რეაგირებისათვის. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

უსდ-ს მიერ თვითშეფასების ანგარიშის დანართის სახით მოწოდებული იყო სწავლის შედეგების შეფასების გეგმა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბიოლოგია“, რომელიც განხორციელდება პროგრამაზე 2019-2020 წელს ჩარიცხული სტუდენტების მიღწევათა საფუძველზე. შეფასების გეგმაში ასახულია რომელ სასწავლო წელს, რომელი სწავლის შედეგების შეფასება მოხდება, დასახელებულია მხოლოდ ის სასწავლო კურსები, რომლებსაც გავყავართ საბოლოო შედეგზე, ასევე სამიზნე ნიშნულები და შეფასების მეთოდები.

უნივერსიტეტს ასევე წარმოდგენილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია კავშირი სწავლის შედეგებსა და მხოლოდ იმ სასწავლო კურსებს შორის, რომლებიც განამტკიცებს შედეგს. კარგი იქნებოდა დაწესებულებას წარმოედგინა რუკა, რომელიც აჩვენებდა თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. შესაბამისად შესაძლებელი იქნებოდა გვენახა სასწავლო გეგმის შემადგენელი ყველა სასწავლო კურსის როლი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში.

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების საფუძველზე, ხოლო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები გამომდინარეობს სასწავლო კურსის მიზნებიდან და შინაარსიდან. პროგრამის შედეგების სწორად განსაზღვრაში მნიშვნელოვანია გამოვყოთ კომპეტენციები, რომელსაც სტუდენტი იღებს პროგრამის გავლის შედეგად. ამიტომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში თვითშეფასების ჯგუფის მიერ გამოყენებული იყო ის რეკომენდაციები, რომელიც მიღებული იყო პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით მოქმედი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებით. პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში ასევე გათვალისწინებული იყო 2014 წელს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ უსდ პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში თანამშრომლობდა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. დამსაქმებელთა გამოკითხვა განხორციელდა იმ მიზნით, რომ სწავლის შედეგები განსაზღვრულიყო დამსაქმებლის საჭიროებებიდან გამომდინარე. გასაუბრების დროს დამსაქმებლებმა დაადასტურეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესში ჩართულობა და აღნიშნეს, რომ იცნობდენენ პროგრამის კურიკულუმს. თუმცა ასევე აღიარეს, რომე მათ მიერ არ ყოფილა შეთავაზებული კონკრეტული სასწავლო კურსი და რა უნარების მქონე კურსდამთავრებულს დაასაქმებენ. კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ძირითადი დასაქმების სფეროს სკოლა წარმოადგენს რეგიონში და უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ამ მიმართულებით რეგიონის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თუმცა გასაუბრებაზე მოწვეულმა დამსაქმებლებმა სკოლებიდან აღიარეს, რომ ამ ეტაპზე მათ არაქვთ ბიოლოგიის მასწავლებლის საჭიროება. სამედიცინო პროფილის დაწსებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ დაწესებულებაში მუშაობენ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთარებულები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-20 დადგენილება) • სწავლის შედეგების შეფასების გეგმა საბაკალავრო პროგრამისთვის „ბიოლოგია“ • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა • სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლის გამოკითხვის კითხვარები დაგამოკითხვის შედეგები ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ▪ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • მოხდეს დამსაქმებლის აქტიური ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში და მათთან უკუკავშირის საფუძველზე რეგიონის საჭიროებების მიხედვით პროგრამაში ცვლილებების შეტანა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • გაკეთდეს პროგრამისთვის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირის რუკა • გაკეთდეს რუკა, რომელიც გვიჩვენებს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევაში ჩართულობის დანახვის საშუალებას იძლევა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე პირს. ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ, რექტორის ბრძანების საფუძველზე. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამების კატალოგი • გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდი – www.gu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციის მიხედვით. ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემი (ECTS) მოთხოვნების გათვალისწინებით. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. **ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 ECTS კრედიტიდან:** ➢ **სავალდებულო კომპონენტი 170 კრედიტია, მათ შორის:** სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 160 კრედიტი; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი. ➢ **საუნივერსიტეტო არჩევითი/თავისუფალი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი** ➢ **დამატებითი (Minor) სპეციალობა - 60 კრედიტი** 70 კრედიტის მოცულობით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან ან აირჩიოს დამატებითი (Minor) სპეციალობა (60 კრედიტის მოცულობით) და 10 კრედიტი - სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან. საბაკალავრო პროგრამის „ბიოლოგია“ კურიკულუმში ლოგიკური თანმიმდევრობითაა ასახული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები,

დასაქმების და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, სტუდენტის სწავლის შეფასების სისტემა, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების აღწერა და ფინანსური უზრუნველყოფა. პროგრამას თანერთვის სასწავლო გეგმა, წინაპირობების მატრიცა და სწავლის შედეგების რუკა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. თუმცა პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები:

სავალდებულო სასწავლო კურსი „წერითი და ზეპირი კომუნიკაცია“ შეცვალეთ სასწავლო კურსით „აკადემიური წერა“.

სავალდებულო სასწავლო კურსი „ფილოსოფიის შესავალი“ გადმოიტანეთ I სემესტრში.

დაამატეთ I სემესტრში „ბიოლოგიის შესავალი“, რადგან 2020-2021 სასწავლო წელს ბიოლოგიის სპეციალობაზე აბიტურიენტები მესამე სავალდებულო საგნად აბარებენ „მათემატიკას“. ასევე, იგივე მიზეზის გამო, გადახედეთ პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსების „კალკულუსი I“ და „კალკულუსი II“ 10 კრედიტის მოცულობით დატოვების საკითხს. მისი სწავლებაც განახორციელეთ I სემესტრიდან.

პროგრამაში გვაქვს სავალდებულო სასწავლო კურსი „ფიზიკის საფუძვლები“, რომელიც არ წარმოადგენს არცერთი სასწავლო კურსის წინაპირობას. ამ კურსის სწავლის შედეგები არ არის კავშირში პროგრამის სწავლის შედეგებთან. თუ მას დატოვებთ პროგრამის სტრუქტურაში დაამატეთ არჩევითი სასწავლო კურსის სახით „ბიოფიზიკა“.

სავალდებულო სასწავლო კურსი „ციტოლოგია“ გადაიტანეთ II სემესტრში.

სასწავლო კურსში „მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია“, „მცენარეთა ფიზიოლოგია“ საკონტაქტო საათები გაანაწილეთ ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიულ მუშაობებზე.

სასწავლო კურსებს „ზოგადი გენეტიკა“ და „მოლეკულური ბიოლოგია“ გაუცვალეთ სემესტრები. რადგან „მოლეკულური ბიოლოგია“ არის „ზოგადი გენეტიკის“ წინაპირობა.

იფიქრეთ სასწავლო კურსების „მცენარეთა ანატომია და მორფოლოგია“ და „მცენარეთა სისტემატიკა“ გაერთიანებაზე სასწავლო კურსში „ბოტანიკა“ ან „ბიომრავალფეროვნება I”, ასევე სასწავლო კურსები „უხერხემლოთა ზოოლოგია“ და „ხერხემლიანთა ზოოლოგია“ გაერთიანებაზე კურსში „ზოოლოგია“ ან „ბიომრავალფეროვნება 2“. ორივე შემთხვევაში სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით განსაზღვროთ კრედიტების რაოდენობა, გაზარდოთ საკონტაქტო საათების რიცხვი (განსაკუთრებით პრაქტიკული მუშაობების) და ორივე განახორციელოთ ერთსადაიმავე სემესტრში. იგივე ეხება სასწავლო კურსებს „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგია“ და „ვისცერალური სისტემის ფიზიოლოგია“.

საველე პრაქტიკა გადაიტანეთ IV სემესტრში და წინაპირობად განუსაზღვრეთ „მცენარეთა სისტემატიკა“ და „უხერხემლოთა ზოოლოგია“, თუ პროგრამის სტრუქტურაში შეიტანთ ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს, მაშინ „ბიომრავალფეროვნება I“ და „ბიომრავალფეროვნება II“

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან „ბიოტექნოლოგია“ გადაიტანეთ სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში მე-7 ან მე-8 სემესტრში, გაზარდეთ პრაქტიკული მუშაობების რიცხვი და ბიოქიმიასთან ერთად წინაპირობად განუსაზღვრეთ „მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია“.

დაამატეთ არჩევითი სასწავლო კურსების სახით „ბიოეთიკა“, „განვითარების ბიოლოგია“, „ბიოფიზიკა“.

პროგრამის განვითარების პროცესში ანალოგი პროგრამებიდან საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების შემოტანა სტუდენტებს მისცემს კვალიფიკაციის გამოყენების უფრო ნათელ სურათს.

კურიკულუმის დანართში 1 (ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა) გაასწორეთ შეცდომა „პროგრამაზე სწავლების ფორმაა - დასწრებული სწავლება“. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების მატრიცა და სწავლის შედეგების რუკა, მაგრამ უმჯობესი იქნება პროგრამის სასწავლო გეგმაში დაემატოს წინაპირობების სვეტი და მიუთითოთ სასწავლო კურსებს მათთვის განსაზღვრული წინაპირობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო გეგმა) • სასწავლო კურსების სილაბუსები
რეკომენდაციები: • პროგრამის სტრუქტურაში ლოგიკურად დალაგდეს სასწავლო კურსები სემესტრების მიხედვით • დაემატოს I სემესტრში სასწავლო კურსი „ბიოლოგიის შესავალი“ და გადაიხედოს პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსების „კალკულუსი I“ და „კალკულუსი II“ 10 კრედიტის მოცულობით დატოვების საკითხი. • სავალდებულო სასწავლო კურსი „წერითი და ზეპირი კომუნიკაცია“ შეიცვალოს სასწავლო კურსით „აკადემიური წერა“ • სასწავლო კურსში „მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია“, „მცენარეთა ფიზიოლოგია“ საკონტაქტო საათები გადანაწილდეს ლექცია, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მუშაობებზე • გადაიხედოს სასწავლო კურსების: „ზოგადი გენეტიკა“, „მოლეკულური ბიოლოგია“, „ბიოტექნოლოგია“, „საველე პრაქტიკა“ წინაპირობები • სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან „ბიოტექნოლოგია“ გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის დაემატოს პროგრამის სასწავლო გეგმას წინაპირობების სვეტი დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსები „ბიოეთიკა“, „განვითარების ბიოლოგია“, „ბიოფიზიკა“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების სილაბუსები წარმოდგენილია სასწავლო უნივესიტეტში დამტკიცებული ფორმის მიხედვით, რომლის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტია სასწავლო კურსის შინაარსი. მასში მოცემულია თემების ჩამონათვალი, რომელსაც კურსი განიხილავს სემესტრის განმავლობაში და მითითებულია შუალედური, დასკვნითი გამოცდების ჩატარების დრო. იმისთვის, რომ სტუდენტს ჰქონდეს მეტი ინფორმაცია სასწავლო კურსში ლექციასთან ერთად რა საკითხები იქნება განხილული და რა ტიპის აქტივობების კეთებით დაკავდება პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობებზე, სილაბუსის ამ კომპონენტში უნდა დაემატოს ლექციისთვის და შესაბამისად პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობებისთვის განკუთვნილი არე, ასევე უნდა დაემატოს ლიტერატურის სვეტი, სადაც მითითებული იქნება ძირითადი ლიტერატურიდან სტუდენტის მიერ მოსამზადებელი თემის შესაბამისი გვერდები (რადგან საბაკალავრო პროგრამაა). სილაბუსში არ არის მითითებული რას ემსახურება კურსის შინაარსის ცხრილში შენიშვნის სვეტი.

სასწავლო კურსების შინაარსთან გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

- სასწავლო კურსი „წერითი და ზეპირი კომუნიკაცია“, როგორც 2.2. ქვესტანდარტში აღვნიშნეთ, უნდა შეიცვალოს სასწავლო კურსით „აკადემიური წერა“ ან წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსში განხორციელდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები.
- გადასახედია სავალდებული სასწავლო კურსების „ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია“ და „ფილოსოფიის შესავალი“ სილაბუსებში შინაარსის ნაწილი. კერძოდ, უნდა ჩანდეს კავშირი ბიოლოგიასთან.
- სასწავლო კურსის „ციტოლოგია“ შინაარსი არ არის თანმიმდევრული. განსახილველი თემების ჩამონათვალი საჭიროებს ლოგიკურ დაწყობას თუნდაც ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოს (გ. თუმანიშვილი, დ. ძიძიგური. ციტოლოგია. თბილისი, 2006) მიხედვით.
- სასწავლო კურსის „ადამიანის ანატომია“ მიზანია „შეასწავლოს სტუდენტს ადამიანის ცალკეულ ორგანოთა და ორგანოთა სისტემების აგებულებათა თავისებურებანი ნორმაში“. მიზნიდან გამომდინარე შედგენილია სასწავლო კურსის შინაარსი. სილაბუსში არ ჩანს როგორ მიიღწევა სწავლის შედეგი: „სტუდენტს შეუძლია გაარჩიოს ორგანოების და ორგანოთა სისტემების ნორმალური სტრუქტურა პათოლოგიურისაგან“.
- ვფიქრობთ სასწავლო კურსები „ქცევის ბიოლოგია“, „ბიოსოციოლოგია“ ბაკალავრის საფეხურის შესაბამისი სასწავლო კურსები არ არის.
- სასწავლო კურსების შინაარსში გვხვდება თემები, რომელთა ლექცია/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობებზე განხილვისთვის არ არის საკმარისი სილაბუსით გათვალისწინებული ყოველკვირეული საკონტაქტო საათების რაოდენობა.
- სწავლების/სწავლის მეთოდები გადასახედია, რადგან სასწვალო კურსების სილაბუსებში მითითებული მეთოდებით არ ჩანს როგორ ფასდება სწავლის შედეგებზე (პრაქტიკულ უნარებზე) გასვლა.

სილაბუსების უმეტესობაში სწავლის შედეგები ერთნაირადაა ჩამოყალიბებული. მაგ: „მნიშვნელოვანი საკითხების გააზრების, ჩატარებული დაკვირვების მონაცემების, საკითხების ირგვლივ მოძიებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი“, „პრობლემის გადაწყვეტის პროცესში განხორციელებული სამუშაოს და მიღებული შედეგების ზეპირი და წერითი კომუნიკაცია“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

• სილაბუსში სასწავლო კურსის შინაარსის ცხრილში ცალ-ცალკე მოხდეს ლექციისა და პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობების თემების მითითება, დაემატოს ლიტერატურის სვეტი და მიეთითოს ძირითადი ლიტერატურიდან თემების შესაბამისი გვერდები • სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიწეროს როგორ ფასდება გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდებით სწავლის შედეგები (პრაქტიკული უნარები).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასწავლო კურსების „ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია“ და „ფილოსოფიის შესავალი“ სილაბუსების შინაარსში აქცენტი გაკეთდეს ბიოლოგიასთან კავშირზე • გადაიხედოს სილაბუსებში სწავლის შედეგები „დასკვნის გაკეთების უნარი“ და „კომუნიკაციის უნარი“ და სასწავლო კურსის სპეციფიკურობიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს • სასწავლო კურსების შინაარსში ლექცია/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობებზე განსახილველი თემების მოცულობა განისაზღვროს ყოველკვირეული საკონტაქტო საათების რაოდენობის მიხედვით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ჩართული არიან სამეცნიერო წრეების მუშაობაში და მონაწილეობას ღებულობენ სტუდენტურ კონფერენციებში. სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მხარს უჭერს სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა ლიტერატურული, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარებას, რაც ასევე ემსახურება პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის მექანიზმი.

სტუდენტებში პრაქტიკული უნარების გამომუშავებას ემსახურება ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საველე პრაქტიკა და მთელ რიგ სასწავლო კურსებში საკურსო ნაშრომის მომზადება/დაცვა.

სტუდენტებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ საველე პრაქტიკის დროს ჩაუტარდათ პრაქტიკული მუშაობები, როგორც უნივერსიტეტში ასევე პრაქტიკის ობიექტებზე. პრაქტიკის ხელმძღვანელმა გააცნოთ საველე კვლევის მეთოდები და მათი გამოყენებით მოახდინეს პრაქტიკის ობიექტებზე საჰერბარიუმო მასალის შეგროვება და სახეობრივი რკვევა, აღებული საკვლევი ნიმუშების და მასალების კამერალური დამუშავება, ჰერბარიუმების დამზადება. საველე პრაქტიკის მსვლელობისას სტუდენტი აწარმოებს პრაქტიკის დღიურს. საველე პრაქტიკა სრულდება პრაქტიკის ანგარიშის მომზადებითა და დაცვით, რომელის შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსში.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან (დამსაქმებლებთან) გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები.

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთ დარგობრივი საკვანძო სასწავლო კურსით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ ამ კურსის ფარგლებში საკურსო პროექტის შესრულება და დაცვა (პრეზენტაცია), რომელიც გულისხმობს პრობლემური საკითხის გადაწყვეტას ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. საკურსო პროექტის შეფასება ხდება სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ (ბოლო კვირაში). სილაბუსში გაწერილია საკურსო პროექტის შეფასების კრიტერიუმები. სასურველი იქნება სილაბუსში მიუთითოთ როდის და როგორ ირჩევს სტუდენტი საკურსო პროექტს და განვსაზღვროთ მისი გაფორმების წესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბუკლეტით
- სტუდენტთა კონფერენციის მასალები
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდით – www.gu.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც გათვალისწინებულია საკურსო პროექტის შესრულება, მიეთითოს პროექტის გაფორმების წესი

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლება-სწავლის მეთოდები მჭიდრო კავშირშია შეფასების სისტემასთან, რომელიც განისაზღვრება სწავლის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით შეიძლება გაიზომოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდები/აქტივობები სასწავლო კურსის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში.

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებად დასახელებულია: სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მუშაობის, ლაბორატორიული მუშაობის, დემონსტრირების, წიგნზე მუშაობის მეთოდი, სავარჯიშო მეთოდი, დისკუსია/დებატი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

სილაბუსებში ნაკლებად ჩანს რამდენად უზრუნველყოფს სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული სწავლება/სწავლის მეთოდების გამოყენება სწავლის შედეგების მიღწევას. მაგ: რა შედეგზე გავდივართ დისკუსია/დებატით და როგორ ვზომავთა ამ შედეგზე გასვლას ან როგორ ვუვითარებთ სტუდენტებს ანალიტიკური აზროვნების უნარს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო გეგმა)
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-12 დადგენილება)

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სწავლება/სწავლის მეთოდები სილაბუსებში და ნაჩვენები იქნეს როგორ იზომება მათი გამოყენებით სწავლის შედეგები
- მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლება/სწავლის იმ მეთოდებს, რომლებიც ანალიტიკური აზროვნების განვითარებას უზრუნველყოფს სტუდენტებში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სტუდენტის შეფასება ხდება ხუთი სახის დადებითი ((A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა, (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა, (C) კარგი -მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა, (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა, (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა და (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები) შეფასებით. (FX) ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, ხოლო (F) ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაში მიღებული დადებითი შეფასება, რომელსაც განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი.

სტუდენტის შეფასების 100 ქულა ნაწილდება შუალედურ და დასკვნით შეფასებებზე. სილაბუსების უმეტესობაში შუალედური შეფასება, რომელიც აერთიანებს I და II შუალედურ გამოცდას და წერით გამოკითხვებს (ქვიზი), 70 ქულაა, ხოლო დასკვნითი შეფასება 30 ქულა. სილაბუსებში განსხვავებულია I და II შუალედური გამოცდებისა და წერით გამოკითხვის (ქვიზი) შეფასების ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასწავლო კურსის განმახორციელებელი თავად განსაზღვრავს გამოცდების შეფასების მაქსიმალურ ქულას.

შუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება წერითი და/ან ზეპირი ფორმით. გამოცდის დავალება შესაძლოა იყოს ტესტური ფორმის (ღია და დახურული ტიპის), თეორიული საკითხი და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების უმეტესობაში სტუდენტის შეფასების ფორმები, შეფასებისთვის განკუთვნილი დავალებები და შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები ერთნაირია. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ნაკლებად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

სილაბუსებში არ ჩანს, როგორ აფასებს სასწავლო კურსის განმახორციელებლი პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობებზე სტუდენტის აქტივობას პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიხედვით. ხდება მხოლოდ სტუდენტის ცოდნის შეფასება 2 ქულიანი წერითი დავალებით (ქვიზი), რომელიც სასწავლო კურსების უმეტესობაში ტარდება ყოველ კვირაში,

მოიცავს წინა კვირის გავლილ მასალას და სავარაუდოდ 2 საათიანი პრაქტიკული მუშაობის რაღაც ნაწილი აქვს დათმობილი. სასწავლო კურსების სილაბუსში არსებული შეფასების სისტემით არ იზომება კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. მაგ: სასწვლო კურსში „ჰისტოლოგია“ სწავლის შედეგია „ქსოვილების იდენტიფიკაცია მიკროსკოპის საშუალებით“. სასწავლო კურსის შინაარსში არ არის მითითებული პრაქტიკული მუშაობები, რომელზეც სტუდენტი უნდა მუშაობდეს მიკროსკოპთან და ახდენდეს ქსოვილების ამოცნობას, სწავლება/სწავლის მეთოდებში არ არის მითითებული რა მეთოდით უნდა გავიდეს სტუდენტი აღნიშნულ შედეგზე, შეფასების სისტემაში არ ჩანს როგორ ხდება სტუდენტის ამ პრაქტიკული უნარის შეფასება. თუ საგნის განმახორციელებლი თვლის, რომ ეს შედეგი მიიღეწევა მეორე შუალედურ გამოცდაზე სტუდენტის მიერ 5 ქულიანი პრაქტიკულ/თეორიული დავალების შესრულებითა და დემონსტრირებით, მაშინ ამ დავალების რუბრიკაა არასწორად გაწერილი, რადგან მასში არაფერია ნახსენები „მიკროსკოპის საშულებით ქსოვილების იდენტიფიკაციის შესახებ“ ანალოგიური პრობლემაა სასწავლო კურსებში „ზოგადი და არაორგანული ქიმია“, „ორგანული ქიმია“ და „ბიოქიმია“, სადაც გვაქვს ლაბორატორიული მუშაობები, სწავლის შედეგი არის „თვისობრივი რეაქციების ჩატარების უნარის განვითარება“ და სილაბუსში არ ჩანს როგორ მიიღწევა და იზომება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო კურსების შეფასების სისტემა დასახვეწია, დეტალურად უნდა გაიწეროს პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობებზე სტუდენტის აქტივობის ფორმები და მათი შეფასების კრიტერიუმები. სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდების გასაჩივრების პროცედურა, რომელიც ასახულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს ამ პროცედურაზე და აღნიშნეს, რომ გამოცდების შედეგების აპელაციის დროს საშუალება ეძლევათ საგამოცდო ცენტრში გადაამოწმონ ლექტორთან ერთად ნაშრომი და გაანალიზონ დაშვებული შეცდომები. თითოეული სტუდენტი თავის აკადემიურ მოსწრებას ეცნობა სტუდენტისთვის განკუთვნილ ვებ-სივრცეში. შეფასება უნდა იყოს: სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სისტემატური. სტუდენტის შეფასებისას უნდა ვიცოდეთ რას ვაფასებთ, როგორ ვაფასებთ, რა კრიტერიუმებით ვაფასებთ და როგორ ვზომავთ კრიტერიუმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
რეკომენდაციები: • შეფასების კომპონენტები და მეთოდები მოვიდეს სასწავლო კურსების სპეციფიკასთან შესაბამისობაში • სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში დეტალურად გაიწეროს პრაქტიკულ/ ლაბორატორიულ მუშაობებზე სტუდენტის აქტივობის ფორმები და მათი შეფასების კრიტერიუმები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა მექანიზმი არსებობს. სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მართავენ საგნმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან და აწვდიან ინფორმაციას საუნივერსიტეტო სივრცის, სასწავლო გარემოს, საუნივერსიტეტო რეგულაციების, სასწავლო პროცესის თავისებურებების და სტუდენტებისთვის განკუთვნილი სერვისების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების, საჯარო ლექციების და სხვა შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებთან გასაუბრებისას მათ ინფორმაციის მიწოდების კარგ მექანიზმად დაასახელეს პირადი ვებ-სივრცე, რომლის დახმარებით მიეწოდებათ სასწავლო და საგამოცდო ცხრილები, შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები, სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები, სილაბუსით გათვალისწინებული კონსულტაციის დროები და სხვა.

სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ კონსულტაციების და დახმარების მიღება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლიათ ფაკულტეტის დეკანატში, ფაკულტეტის საქმისმწარმოებელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, კანცელარიასა და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კონკრეტული სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი სილაბუსით გათვალისწინებული ყოველკვირეული ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში სტუდენტებს უწევს კონსულტირებას და ეხმარება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.

ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ არიან კარგად გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში, კერძოდ, სჭირდებათა მეტი ინფორმაციის მიწოდება დამატებით (minor) პროგრამასთან დაკავშირებით.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის არსებობს კარიერული განვითარების სამსახური, რომლის ფუნქციებია სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, სტუდენტების ინფორმირება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ, დახმარება დამსაქმებელთან ურთიერთობაში და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ბაზის ფორმირება და ბაზაში დაფიქსირებული პირებისათვის დასაქმების ბაზარზე არსებული ვაკანსიების თაობაზე განახლებული ინფორმაციის მიწოდება და სხვა.

უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობს და ახორციელებს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას. ის ახდენს სტუდენტებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებას.

უნივერსიტეტში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ contact@gu.edu.ge ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელსაც აკონტროლებს და სტუდენტის სურვილებზე, მოთხოვნებსა და მოსაზრებებზე რეაგირებას ახდენს სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრის დებულება
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ ფასდება
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესორ-მასწავლებელი. მათ შორისაა 3 აფილირებული პროფესორი, 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 7 მოწვეული სპეციალისტი, ხოლო კვალიფიკაციის მიხედვით - 4 ბიოლოგიის, 2 მედიცინის, 2 ქიმიის, 2 პედაგოგიკის, 2 ისტორიის, 1 ფილოლოგიის, 1 ფილოსოფიის, 1 ტექნიკის, 1 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები და 1 საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მოქმედებს ღია კონკურსის ჩატარების წესი, რომლითაც განსაზღვრულია აკადემიური თანამდებობის დაკავების წინაპირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კრიტერიუმები. ერთ-ერთ წინაპირობად დაასახელეს სათანადო რაოდენობის ვაკანტური აკადემიური დატვირთვის არსებობა. უსდ-ში დატვირთვის წლიური მოცულობა არანაკლებ 600 სთ-ია, რომელიც აერთიანებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა სახის დატვირთვას. მათ შორის საკონტაქტო საათების რაოდენობა არანაკლებ 150 სთ-ს შეადგენს. აკადემიური პერსონალის არჩევა ხორციელდება ფაკულტეტზე. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების არანაკლებ 50%-ის განმახორციელებელი უნდა იყოს უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი. დაწესებულებას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფარდება პროგრამის სტუდენტთა რაოდენობასთან არ იყოს 1/40-ზე ნაკლები. ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან 17/28. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი, მათი საერთო რაოდენობა და დენადობის დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ დებულების“ მიხედვით ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც მოწვეულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, და თანახელმძღვანელი, რომელიც უნივერსიტეტში იკავებს პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით. აღნიშნული აღწერილია პროგრამის ხელმძღვანელის CV-ში. იმავე დებულების მიხედვით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები, კერძოდ, ის ორგანიზებას უკეთებს პროგრამის შემუშავების/განვითარების პროცესს, უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას პროგრამის შემუშავების/განვითარების პროცესში; უზრუნველყოფს სტუდენტების კონსულტაციებს; სტუდენტების დახმარებას საგანმანათლებლო პროგრამასთან, პროგრამის სპეციფიკასთან, პროგრამის სასწავლო კურსებთან/კომპონენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხა. ზრუნავს პროგრამის მუდმივ განვითარებაზე და მდგრადობაზე. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პერსონალს მათ შორის სასწავლო კურსების/კომპონენტების განაწილებას; ზრუნავს პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის/პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტების განვითარებაზე, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლობს სხვა პროგრამის ხელმძღვანელებთან. დარგის სპეციალისტებთან ერთად განიხილავს უახლეს ტენდენციებს და ახორციელებს პროგრამაში ინტეგრაციას, ახდენს ინტენსიურ კომუნიკაციას პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით სტუდენტებთან. სტუდენტების მიერ პროგრამის შეფასების ანალიზის საფუძველზე, ახდენს გუნდთან ერთად პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებულ ქმედებებს და სხვა. ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას ემსახურება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მათი რაოდენობა შეადგენს 8-ს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შინაგანაწესი • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-18 დადგენილება) • დებულება სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-13 დადგენილება) • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდი www.gu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საქმიანობის შეფასებას ახდენს „აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის“ მიხედვით. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ტრენინგები. შეფასების ინსტრუმენტებს წარმოადგენდა აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყოველწლიური შეფასება, სასწავლო კურსების განხორციელების ყოველსემესტრული შეფასება, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვა. აკადემიურმა პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ისინი მონაწილეობას ღებულობენ საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში, რაც მათი პროფესიული განვითარების საფუძველს წარმოადგენს. ასევე აღნიშნეს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის სამეცნიერო პროექტების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსებას, სამეცნიერო ნაშრომების/პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამაში ჩართულმა ერთმა პროფესორმა Erasmus+ პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-მ აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებისთვის ჩაატარა არაერთი ტრენინგი სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვასთან, აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან, პლაგიატთან, სწავლის შედეგებთან და სხვა დაკავშირებით. აკადემიურ პერსონალს მაინც სჭირდება გადამზადება, ტრენინგები სწავლის შედეგებთან, კომპეტენციებთან, სწავლება/სწავლის მეთოდებთან, შეფასების სისტემასთან (შეფასების ფორმები და კრიტერიუმები) დაკავშირებით, რისი საჭიროებაც გამოიკვეთა სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება)

• სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების სამეცნიერო აქტივობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-22 დადგენილება) • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვლევის განვითარების პოლიტიკის, კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-54 დადგენილება) • პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები • პროგრამის პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N09-46 დადგენილება) • პროგრამის პერსონალის პირადი საქმეები
რეკომენდაციები: • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის უსდ-ში გაგრძელდეს სწავლის შედეგებთან, სწავლება/სწავლის მეთოდებთან, შეფასების სისტემასთან (შეფასების ფორმები და კრიტერიუმები) დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, კერძოდ, განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით. ესაა: სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასი აღჭურვილი ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით. კეცხოველის სახელობის ბიოლოგიის კაბინეტი, ბიოქიმიური ლაბორატორია (2017-2018 წლებში პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხით შეძენილ იქნა საჭირო აპარატურა, ჭურჭელი და რეაქტივები). პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტს ბიოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის გამოყოფილი აქვს 650m^2 საცდელი ნაკვეთი.

სტუდენტებს ემსახურება სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია 4 კორპუსში, მათგან სამში - წიგნსაცავით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები და ოთახები აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით, ტექნიკითა (კომპიუტერები, პრინტერები, ქსეროქსებით, სკანერები) და ინტერნეტით. უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი - 307 826 ერთეულს მოიცავს. ბიბლიოთეკაში არსებობს სრულყოფილი კატალოგი ქაღალდზე (ანბანური და სისტემატური) და ელექტრონული (ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამა "Openbiblio") კატალოგი.

ბიბლიოთეკაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს ემსახურება მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი.

ბიბლიოთეკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ერთეულია ინგლისური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, რომელიც 2003 წელს გაიხსნა აშშ მშვიდობის კორპუსის ხელშეწყობითა და ამავე კორპუსის მოხალისის - ედუარდ რაუპის თაოსნობით სასწავლო უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსში. ინგლისური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ფონდი ამჟამად მოიცავს 5000 საბიბლიოთეკო ერთეულზე მეტს.

საბიბლიოთეკო ფონდი რეგულარულად მდიდრდება სახელმძღვანელოებით.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მიღწევებს. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, თუმცა საჭიროებს განახლებას, შევსებას და გაუმჯობესებას.

აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში (მაგ: ციტოლოგია) ერთ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით პრაქტიკული მეცადინეობების რამდენიმე საათს სტუდენტი გადის პარტნიორ ორგანიზაციაში მათი რესურსების გამოყენებით. სტუდენტებში პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარებისთვის კარგი იქნება პარტნიორი ორგანიზაციების რესურსების გამოყენების გაფართოება და სასწავლო პროცესში მათი აქტიური ჩართვა რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

▪ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსების ვიზუალური დათვალიერება ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. ▪ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • განახლდეს, შეივსოს და გაუმჯობესდეს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები • გაიზარდოს პარტნიორი ორგანიზაციების რესურსების გამოყენების შესაძლებლობა სასწავლო კურსების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია როგორც ფაკულტეტის, ასევე სასწავლო უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში. პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებისთვის, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებისთვის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენისთვის ფინანსური რესურსები გამოყოფილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. უსდ-ს მიერ წარმოდგენილია 2019 წლის ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია თანხები შენობა-ნაგებობების რემონტისთვის, ავეჯისა და ინვენტარის შეძენისთვს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

• სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი • განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული დებულებების, წესების, პროცედურებისა და მექანიზმების ერთობლიობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კომპონენტების საშუალებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით სისტემატურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას, აგრეთვე პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და პროფესიული განვითარების შეფასებას.

შეფასებების შედეგების ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით და წარუდგენს უნივერსიტეტის სათანადო სტრუქტურულ ერთეულებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად.

ინტერვიუს დროს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესის შესახებ და აღნიშნა, რომ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება რეაკრედიტაციისთვის მოხდა უნივერსიტეტში მოქმედი პროცედურების დაცვით. პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები წარმოდგენილია სასწვლო უნივერსიტეტში მოქმედი ფორმების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას და ეფუძნება კოლეგების მიერ ჩატარებული მეცადინეობების შეფასებას, გამოკითხვებს. ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე ხდება სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება-მოდიფიცირება, რაც ასევე ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა და პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა შიდა ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებზე 2014 წლის აკრედიტაციის შემდეგ. თავდაპირველად განისაზღვრა შეფასების ინსტრუმენტები, შემდეგ შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამის ხელმძღვანელმა აკადემიურ პერსონალთან ერთად განახორციელა ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ციკლური პროცესია და მოიცავს "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" ეტაპებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვები
- საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის გამოკითხვები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების მონიტორინგი და აქტიურად ჩაერთოს პროგრამის გაუმჯობესების პროცესის დაგეგმვა/განხორციელებაში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა განვითარების მიზნით, იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს, კერძოდ, 2014 წელს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა, სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, შეიტანა ცვლილებები ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში. როგორ ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა სპეციალობის არჩევითი კურსები - „ბიოსოციოლოგია“, „სამკურნალო მცენარეები“, „ჰიდრობიოლოგია“, „ქცევის ბიოლოგია“, „ცოცხალი ბუნების დაცვა“, „ზოგადი ტოქსიკოლოგია“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა • გარე ხარისხის შეფასების შედეგები • გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება მოიცავს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზს და შედეგების შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებმა აღნიშნეს, ინფორმაციის მოპოვება ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვის საფუძველზე, შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებას ახდენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მონიტორინგის საფუძველზე გაიცემა რეკომენდაციები, რომელბიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში. აღნიშნული კი ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ▪ სტუდენტის, კურსდამთავრებულის, აკადემიური დამოწვეული პერსონალის, დამსაქმებლის გამოკითხვის ფორმები და გამოკითხვის შედეგების ანალიზი ▪ ინტერვიუს შედეგი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნათია ღაჭავა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნუნუ მიცკევიჩი

იური მღებრიშვილი

ანი ბილანიშვილი